

სატყეო სამეურვეო საბჭოს კონტროლირებული მერქნის რისკების ეროვნული შეფასება საქართველოსთვის

პირველი სამუშაო ვერსიის განახლებული რეზიუმე, დაინტერესებულ მხარეთა კომენტარებით¹

თარიღი: 26.10.2017

კონტროლირებულ მერქნად ითვლება მერქანი, რომელიც **აღ** არის დამზადებული:

1. უკანონოდ
2. ტრადიციული და ადამიანის უფლებების დარღვევით
3. ტყეების მაღალი კონსერვაციული ღირებულებების მიმართ საფრთხის შექმნით
4. ბუნებრივი ტყეების (განადგურების შედეგად) პლანტაციებში ან მიწის სხვა კატეგორიაში გადაყვანით
5. ტყეში გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეების გამოყვანის შედეგად.

ნათია იორდანიშვილის წერილობითი კომენტარი ზემოაღნიშნულ მეხუთე კატეგორიასთან დაკავშირებით: „აქ შინაარსობრივად იგულისხმება სწრაფმზარდი პლანტაციები და რაც სწორია კონტროლირებად მერქანთან დაკავშირებით, თუმცა ვფიქრობ უნდა შეიცვალოს სიტყვათაწყობა, რადგან ასეთი ნარგაობა ტყეში (ახალი კოდექსის განმარტებით) არ შენდება, ანუ ტყეში ვერ გეგნებაგენეტიკურად მოდიფიცირებული სახეობები. ასეთი პლანტაციებისთვის კოდექსის სამუშაო ვერსიაში შემდეგი განმარტებაა : ტერიტორიები, რომლებიც არ არის განთავსებული ტყეში და გამოიყენება მოკლევადიანი მონაცვლეობისათვის ტყის შემქმნელი მერქნიანი სახეობების გაშენებიდან ოცდაათ წლამდე პერიოდის განმავლობაში; და ეს ტერიტორიები შედის ტყის მიწების კატეგორიაში“.

თეიმურაზ კანდელაკის ზოგადი (წერილობითი) კომენტარი: „შეხვედრაზე პირადად ჩემს და სხვა დამსწრეთა მიერ, აღინიშნა დამკვიდრებული, გამოგონილი და ტყის მერქნული რესურსების მოხმარებაზე უკონტროლობის შესანიშნავი სისტემის - სოციალური ჭრების საყოველთაოდ აღიარება და მას ამოფარებული ქვეყნის ტყეების სრული გაჩანაგება. კონკრეტულად: ამ ჭრებს ამოფარებული შესაძლებელია- სადაც, რამდენიც და როგორც გინდა მერქანი მოიპოვო მათ შორის უნიკალურ ჭაღის ტყეებშიც, რომლის მდგომარეობა უნებართვო და უკანონო ჭრების გამო საგანგებო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს“.

რისკების ეროვნული შეფასება (National Risk Assessment, NRA)²

რისკების კატეგორია 1 - მერქნის უკანონოდ დამზადება

1.1 მიწაზე (ტყეზე) საკუთრების, სარგებლობისა და მართვის უფლება

კონტექსტი: *კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს მიწაზე საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებს, მათ შორის ტრადიციულ და მართვის უფლებებს, რაც მოიცავს ამ უფლებების მოპოვების კანონიერებას. ასევე მოიცავს ბიზნესისა და საგადასახადო სუბიექტად რეგისტრაციას, მათ შორის კანონით გათვალისწინებულ ლიცენზიებს.*

¹ კომენტარები წარმოდგენილ იქნა 2 ფორმით: 1) მიმდინარე წლის 9 აგვისტოს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის წარმომადგენლობაში (ქ. თბილისი, ალექსიძის ქ #11) შეხვედრისას დისკუსიის დროს ვერბალურად და 2) წერილობითი ფორმით საკონსულტაციო პერიოდის (2017 წლის 30 ივნისი-30 აგვისტო) განმავლობაში; ამ დოკუმენტში ზეპირი კომენტარები გადმოცემულია მაქსიმალური სიზუსტით, ხოლო წერილობითი კომენტარები ჩართულია უცვლელად.

² კონტროლირებული მერქნის რისკების ეროვნული შეფასების სრული ვერსია (GEO-FSC-NRA-GE) დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდება მოთხოვნის საფუძველზე.

რისკთან დაკავშირებული გარემოებები: რისკი დაკავშირებულია სიტუაციასთან, როდესაც მიწაზე საკუთრებისა და სარგებლობის უფლება გაცემულია არსებული კანონმდებლობის დარღვევით და როდესაც ადგილი აქვს კორუფციულ გარიგებებს აღნიშნული უფლებების მინიჭებისას. ამ ინდიკატორის მიზანია, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიწაზე საკუთრების, სარგებლობისა და მართვის უფლებების კანონიერი გზით მინიჭება.

(წინასწარი) დასკვნა (საქართველოში არსებული პირობების შეფასების შედეგად): დაბალი რისკი „დაბალი რისკის“ დასაბუთება - საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყანაში ტყის მართვისა და ტყითსარგებლობის უფლების რეგისტრაციასთან (მაგ. საჯარო რეესტრის შესახებ კანონი (2008), საგადასახადო კოდექსი (2010), ტყის კოდექსი (1999) და ა.შ.) სათანადოდ სრულდება. კერძოდ, არ მოიპოვება ცნობები ამ საკანონმდებლო მოთხოვნების დარღვევის ან კორუფციული გარიგებების თაობაზე აღნიშნული უფლებების მოპოვებასთან დაკავშირებით.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ რისკების ეროვნული შეფასების სრული ვერსია: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 16, ნაწილი 1.1 - მიწაზე (ტყეზე) საკუთრების, სარგებლობისა და მართვის უფლება.

1.2 ტყითსარგებლობის ლიცენზიები

კონტექსტი: კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ტყითსარგებლობის (მათ შორის ხანგრძლივადიანი სარგებლობის, კონცესიების) ლიცენზიების გაცემას, მათ შორის ლიცენზიების მოპოვების კანონიერ მეთოდებს/გზებს. მექრთამეობა, კორუფცია და ნეპოტიზმი კარგად ცნობილი საკითხებია, რომლებიც დაკავშირებულია ტყითსარგებლობის ლიცენზიების მოპოვებასთან.

რისკთან დაკავშირებული გარემოებები: ამ ინდიკატორის მიზანია იმ რისკის შემცირება, რომელიც დაკავშირებულია ისეთ სიტუაციებთან, როდესაც ორგანიზაციები იღებენ ტყითსარგებლობის (კონცესიის) ლიცენზიებს უკანონო გზებით, მათ შორის მექრთამეობის გზით, ან როდესაც ორგანიზაციები ან სხვა ტიპის ერთეულები არ არიან უფლებამოსილნი, რომ მიიღონ ტყითსარგებლობის (კონცესიის) უფლება, თუმცა ამას მაინც ახერხებენ უკანონო მეთოდებით. ამ ინდიკატორის შემთხვევაში რისკი დაკავშირებულია ისეთ სიტუაციებთან, როდესაც კანონით დადგენილი პროცედურები არ იქნა სათანადოდ გავლილი და შესაბამისად კონცესიების უფლება უკანონოდ გაცემულად ითვლება. ქვეყანაში, ან მის რეგიონში არსებული კორუფციის დონე ითვლება როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი და, შესაბამისად, კორუფციის ინდიკატორები (მაგალითად კორუფციის აღქმის ინდექსი - Corruption Perception Index, CPI) უნდა იქნეს გათვალისწინებული რისკების შეფასების დროს.

დასკვნა: დაბალი რისკი

ძირითადი შესაბამისი კანონმდებლობა მოიცავს ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონს (2005) და ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესებსა და პირობებს (2005). ტყითსარგებლობის ლიცენზიების გაცემა ხდება ღია აუქციონების წესით რომლებსაც ორგანიზებებს უკეთეს გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო (რომელიც თავის მხრივ ექვემდებარება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს). პროცესი არის გამჭვირვალე და კორუფციის რისკი ითვლება უმნიშვნელოდ საქართველოში. დღესდღეობით, ლიცენზიების უფლებების აუქციონზე გატანა ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ტყის ფართობები რუკაზეა დატანილი და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში და იმ შემთხვევაში, როდესაც ტყის მართვის გეგმა მომზადებული აქვს ეროვნულ სატყეო სააგენტოს. 2013 წლის იანვრიდან ტყითსარგებლობის ახალი ლიცენზიები არ გაცემულა.

დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრის დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ წარსულში (კერძოდ, 2012 წლამდე) იყო გარკვეული პრობლემები მერქნის დამზადების სპეციალური ლიცენზიების გაცემის

პროცესში. კერძოდ, **ირაკლი მაჭარაშვილის** აზრით, ლიცენზიების გაცემის დროს, როგორც წესი, ადგილი ჰქონდა ძალზედ შეზღუდულ კონკურენციას; შედეგად, სახელმწიფომ მიიღო გაცილებით ნაკლები შემოსავალი ლიცენზიებიდან; ადგილი ჰქონდა სხვა პრობლემებსაც, როგორცაა ლიცენზიების გაცემა ტყის უახლესი დეტალური ინვენტარიზაციის მონაცემების გარეშე, რის შედეგად ლიცენზიანტებმა მიიღეს ნაკლები მერქნის რესურსი ვიდრე სატენდერო განცხადებებში იყო მითითებული. ასევე, ლიცენზიების პირობები საკმაოდ ზოგადად იყო აღწერილი, რამაც გაართულა ამ პირობების შესრულების მონიტორინგი. აღნიშნული მოსაზრების დამადასტურებელი დოკუმენტები მოწოდებულ იქნა ოდნავ მოგვიანებით ირაკლი მაჭარაშვილის მიერ.

თუმცა, უკვე რამდენიმე წელია, რაც ხე-ტყის დამზადების ლიცენზიების გაცემა შეჩერებულია სახელმწიფოს მიერ. უფრო მეტიც, ამჟამად მოქმედი სატყეო პოლიტიკის მიხედვით პრიორიტეტი ეძლევა სახელმწიფო სატყეო სტრუქტურების გაძლიერებას, და არა ხე-ტყის დამზადების გრძელვადიანი ლიცენზიების გაცემას კერძო სექტორზე. შესაბამისად, შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ რისკის აღნიშნული შეფასება (დაბალი რისკი) შესაძლოა დარჩეს უცვლელი.

პაპუნა კაპანაძის წერილობითი კომენტარი: „დასაბუთება უფრო მეტად გამოკვეთილი, რომ იყოს ვფიქრობ ეს წინადადება შემდეგი ფორმატით უნდა ჩაიწეროს: 2013 წელს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N 242 დადგენილებით დამტკიცებულ „ტყითსარგებლობის წესში“ შეტანილი ცვლილების თანახმად აიკრძალა ხე-ტყის დამზადების ლიცენზიების გაცემა ინვენტარიზაციის განხორციელებამდე. ასევე, ასეთი სახის ლიცენზიების გაცემას სამომავლოდ არ ითვალისწინებს მთავრობის მიერ მიღებული ეროვნული სატყეო კონცეფციის დოკუმენტი და ქვეყანაში არსებული ტყის მართვის პოლიტიკა. სატყეო პოლიტიკის მიხედვით პრიორიტეტი ეძლევა სახელმწიფო სატყეო სტრუქტურების შესაძლებლობების გაძლიერებას“.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 20, *ნაწილი 1.2 - ტყითსარგებლობის ლიცენზიები*.

1.3 ტყის მართვისა და ხე-ტყის მოპოვების დაგეგმვა

კონტექსტი: *ნებისმიერი ეროვნული ან რეგიონული (ქვეყნის ფარგლებში) საკანონმდებლო მოთხოვნა ტყის მართვის კუთხით, მათ შორის ტყეების ინვენტარიზაცია, მართვის გეგმის ქონა და შესაბამისი მონიტორინგის მოთხოვნები, ზემოქმედების შეფასება, კონსულტაცია სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და ამ დოკუმენტების დამტკიცება უფლებამოსილი უწყებების მიერ.*

რისკთან დაკავშირებული გარემოებები: განხილულ უნდა იქნეს შემთხვევები, როდესაც კანონით მოთხოვნილი ტყის მართვის დაგეგმვის დოკუმენტები არ მოიპოვება ან არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი უწყების მიერ. ამ ინდიკატორის თანახმად, ტყის მართვის გეგმის დაბალმა ხარისხმა შესაძლოა განაპირობოს უკანონო ქმედებები, რაც არის რისკ ფაქტორი.

დასკვნა: დაბალი რისკი

ძირითადი შესაბამისი კანონმდებლობა მოიცავს ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესებს (2013), ტყითსარგებლობის წესებს (2010) და ტყის კოდექსს (1999). საქართველოს ტყის ფართობის უმეტეს ნაწილზე ინვენტარიზაციის მონაცემები მოძველებულია. ხე-ტყის დამზადების ლიცენზიებს, რომლებიც გაცემულ იქნა 2013 წლამდე, წინ არ უძღოდა ტყის მართვის გეგმების შემუშავება; თუმცა, ლიცენზიების მფლობელებმა ჩაატარეს ტყეების ინვენტარიზაცია და მოამზადეს ხე-ტყის დამზადების გეგმები, სანამ დაიწყებდნენ ტყის ჭრას. ლიცენზიები, რომლებიც გაცემულ იქნა 2013 წლამდე, ითვლება რომ შესაბამისობაში იყო იმდროინდელი კანონმდებლობის მოთხოვნებთან - კერძოდ, ტყეკაფების უბნებზე ინვენტარიზაციის ჩატარება ჭრების ოპერაციის დაწყებამდე და შემდგომ (შემოწმების მიზნით), ტყის მართვის დაგეგმვის ზოგად კონტექსტში. 2012 წლის შემდეგ ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიები არ იქნა გაცემული. ტყის ის უბნები,

სადაც გაცემულ იქნა ლიცენზიები და ასევე ტყეკაფები, დარეგისტრირებულია მერქნის რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

თუმცა, აღნიშნული ინდიკატორის მიმართ დაბალი რისკის კატეგორიის მინიჭება ექვევებში დააყენეს **გიორგი ქავთარაძემ** და **პაპუნა კაპანაძემ**. კერძოდ, მათი აზრით, საქართველოს ტყეების უმეტეს ნაწილში ხე-ტყის დამზადება მიმდინარეობს ინვენტარიზაციის მოძველებული მასალების (10 წელიწადზე, და ხშირად 20 წელიწადზე მეტი ხნის) საფუძველზე. შესაბამისად, არის დიდი ალბათობა იმისა, რომ ასეთი მოძველებული მასალების საფუძველზე დაგეგმილი ხე-ტყის დამზადების ოპერაციები იყოს არამდგრადი. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა შეხვედრის ყველა მონაწილე და წარდგენილ იქნა წინადადება, რომ ამ ინდიკატორს მიენიჭოს სპეციფიური რისკის კატეგორია. კონტროლის შესაძლო ღონისძიების სახით შეხვედრის მონაწილეებმა დაასახელეს მოთხოვნა, რომ იმ სატყეო უბანზე, საიდანაც იგეგმება კონტროლირებული მერქნის მიწოდება, უნდა იყოს ჩატარებული დეტალური ინვენტარიზაცია და ამ ინვენტარიზაციის საფუძველზე უნდა არსებობდეს მართვის გეგმა (საქართველოს მთავრობის 2013 წ. 17 ივლისის განკარგულების #179 „ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესების დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე), რომლის ხანდაზმულობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელიწადს.

პაპუნა კაპანაძის წერილობითი კომენტარი: „გრძელვადიანი ლიცენზიის მფლობელებმა ჩაატარეს ინვენტარიზაცია და ასევე მოამზადეს 10 წლიანი ტყის მართვის გეგმა, ასევე ისინი წარადგინეს ყოველწლიურ ტყითსარგებლობის გეგმას. 20 წლიანი ლიცენზიები ვისაც აქვთ ისინი ვალდებული არიან 10 წლის გასვლის შემდეგ ისევ ჩაატარონ ინვენტარიზაცია და მოამზადონ ტყის მართვის 10 წლიანი გეგმა. დღესდღეობით ტყის ფონდის ტერიტორიაზე (მათ შორის გაცემული ლიცენზიები) ინვენტარიზაცია ჩატარებულია სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ფართობის 284,594 ჰა-ზე, ასევე აჭარის სატყეო სააგენტოს 150 00 ჰა-ზე, 2020 წლისთვის ინვენტარიზაცია ჩატარებული იქნება ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ 740 623 ჰა-ზე (მ.შ. გაცემული ლიცენზიები), იმ შემთხვევაში თუ კონტროლირებადი მექნული რესურსის მიწოდება იგეგმება იმ ტყის უბნებიდან სადაც ინვენტარიზაციის საფუძველზე მართვის გეგმა არის დამტკიცებული, ვფიქრობ ეს პუნქტი დაბალი რისკის შემცველია“.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 25, *ნაწილი 1.3 - ტყის მართვისა და ხე-ტყის მოპოვების დაგეგმვა*

1.4 ნებართვები ხე-ტყის მოპოვებაზე

კონტექსტი: ნებისმიერი ეროვნული ან რეგიონული (ქვეყნის ფარგლებში) კანონმდებლობა რომელიც არეგულირებს ხე-ტყის დამზადების ოპერაციებისათვის საჭირო სანებართვო დოკუმენტების გაცემას, ლიცენზიების, ნებართვებისა და სახვა ტიპის იურიდიული დოკუმენტების ჩათვლით. ეს ინდიკატორი ასევე მოიცავს ამ ნებართვების მოპოვების პროცესში საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვის საკითხებსაც. კორუფცია კარგად ცნობილი პრობლემაა, რომელიც დაკავშირებულია ხე-ტყის დამზადების ნებართვების გაცემასთან.

რისკთან დაკავშირებული გარემოებები: რისკი შეეხება სიტუაციებს, როდესაც ხე-ტყის დამზადება ხორციელდება იურიდიული ძალის მქონე ნებართვის გარეშე ან როდესაც აღნიშნული ნებართვა გაცემულია უკანონო გზით, მაგალითად ქრთამის გამოყენებით. ზოგიერთ ადგილას, მექრთამეობა შესაძლოა ფართოდ იყოს გამოყენებული ხე-ტყის დამზადების ნებართვების მისაღებად, იმ ტერიტორიებზე და იმ მერქნიანი სახეობებისათვის, რომელთა მოჭრაც აკრძალულია (მაგ. ხის იშვიათი სახეობები). იმ შემთხვევებში, როდესაც ხე-ტყის დამზადების ნებართვაში მითითებულია მერქნიანი სახეობები და მოცულობები გადასახადების/მოსაკრებლების გამოთვლის მიზნით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კორუფციას და მექრთამეობას რათა პროდუქცია კლასიფიცირებულ იქნეს იმგვარად, რომ შემცირდეს გადასახადი/მოსაკრებელი. ქვეყანაში, ან მის რეგიონში არსებული კორუფციის დონე ითვლება როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი და, შესაბამისად, კორუფციის ინდიკატორები უნდა იქნეს გათვალისწინებული რისკების შეფასების დროს. უკანონო ჭრების შემთხვევაში შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს ხე-ტყის დამზადების ნებართვა, რომელიც შეესაბამება ერთ ტყეკაფს, მაშინ

როდესაც სინამდვილეში ხე-ტყე დამზადებულია სხვაგან და შესაბამისად მერქნის კანონიერი წარმოშობის აღნიშნული დასაბუთება ყალბია.

დასკვნა: სპეციფიური რისკი - ტყითსარგებლობის ლიცენზიის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა (მაგალითად ჭარბი მოცულობით ჭრა)

ძირითადი შესაბამისი კანონმდებლობა მოიცავს ტყის კოდექსს, ტყის ფონდის მართვის კანონს (2010) და ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესებსა და პირობებს. არსებობს რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ტყითსარგებლობის ლიცენზიების გამოყენებასთან. მიდევნების მიზნით თითოეული სამასალე მორი მარკირებული უნდა იყოს სპეციალური ფირნიშით. თუმცა, ოფიციალური და არაოფიციალური წყაროების თანახმად, ტექნიკურად შესაძლებელია ხე-ტყის ჭრა ტყეკავების გარეთ და მერქნის ჭარბი მოცულობით დამზადება ტყითსარგებლობის ლიცენზიის საფარქვეშ. ხე-ტყის სპეციალური ჭრების ნებართვები გაიცემა მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისი სატყეო სამსახურების მიერ და მათი ხელმოწერით. აღნიშნული ტიპის ჭრებზე ნებართვები გაიცემა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით და ნებართვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება მხოლოდ ტექნიკური შეფასების საფუძველზე. თუმცა ამ კუთხით არ არსებობს რაიმე მინიმუმი დარღვევებზე და რისკი ითვლება როგორც დაბალი. თუმცა, არსებობს რისკი, რომ ხე-ტყის საჭრელი ბილეთის საფუძველზე დამზადებული შეშა გაიყიდოს ადგილობრივ დონეზე. მერქნის გადაზიდვა მოითხოვს ტრანსპორტირების ნებართვის დოკუმენტაციას (მსგავსი დოკუმენტაცია არ გაიცემა ბილეთის შემთხვევაში), რთულია დიდი მოცულობებით შეშის დიდ მანძილებზე გადაზიდვა შეუმჩნეველად. შედეგად, ადგილი აქვს გარკვეული მოცულობით შეშით ვაჭრობას არაოფიციალურად, ადგილობრივ დონეზე.

პაპუნა კაპანაძის კომენტარი: „დაინტერესებული პირი ბანკში ბილეთის აღების შემდგომ, ტყის მცველთან ერთად მიემართება გამოყოფილ ტყეკავში სადაც ახორციელებს ხე ტყის ჭრას, ტრანსპორტირების დაწყებამდე მეტყევე დაინტერესებულ პირთან ერთად ავსებს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტს სადაც იწერება, ადგილმდებარეობა, ტყეკავის ნომერი, სახეობა, მოცულობა, დასაწყობების ადგილი და ტრანსპორტირების დაწყების დრო, რაც იმას ნიშნავს რომ ეს იგივე ტრანსპორტირების დოკუმენტია, რომელსაც აქვს 12 საათიანი ვადა. ყურადღება გავამახვილე მხოლოდ ამ წინადადებას, სპეციპიურ რისკს ვეთანხმები“.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 30, ნაწილი 1.4 - ნებართვები ხე-ტყის მოპოვებაზე

1.5 ტყის რესურსების მოპოვებაზე დაწესებული მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების გადახდა
კონტექსტი: კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ხე-ტყის დამზადებასთან დაკავშირებულ სპეციფიურ გადასახდელებს როგორცაა როიალტი, სანიხრე მოსაკრებელი და მერქნის მოცულობასთან დაკავშირებული სხვა თანხები. ეს მოიცავს გადასახდელების გადახდას რაოდენობების, ხარისხისა და სახეობების სწორი კლასიფიკაციის საფუძველზე. ტყის პროდუქტების არასწორი კლასიფიკაცია კარგად ცნობილი ხერხია, რომელიც ხშირად იმ თანამდებობის პირების მოქრთამვასთან ერთად გამოიყენება, რომლებიც ამოწმებენ ხე-ტყის პროდუქციის კლასიფიკაციის სისწორეს.

დასკვნა: დაბალი რისკი

ძირითადი შესაბამისი კანონმდებლობა მოიცავს კანონს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ (2004). რისკი ითვლება, როგორც დაბალი რადგან როგორც გარემოს დაცვის სამინისტრო ასევე შემოსავლების სამსახური ეფექტიანად აკონტროლებენ სანიხრე მოსაკრებლების გადახდას და უზრუნველყოფენ მითითებული მოცულობების სისწორეს სათანადო გადამოწმების მიზნით.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 34, ნაწილი 1.5 - ტყის რესურსების მოპოვებაზე დაწესებული მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების გადახდა

1.6 დღგ და გაყიდვებზე დაწესებული სხვა გადასახადები

კონტექსტი: კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს სხვადასხვა ტიპის სავაჭრო გადასახადებს, რომლებიც ეხება გაყიდულ საქონელს, მათ შორის ტყეში მზარდ (ზეზემდგომ) ხეებს.

რისკთან დაკავშირებული გარემოებები: რისკი წარმოიქმნება იმ სიტუაციებში, როდესაც პროდუქცია იყიდება კანონით გათვალისწინებული გაყიდვების დოკუმენტაციის გარეშე ან საბაზრო ფასზე გაცილებით უფრო დაბალ ფასებში, გადასახადების თავიდან არიდების მიზნით.

დასკვნა: დაბალი რისკი

შესაბამისი კანონმდებლობა მოიცავს საგადასახადო კოდექსს. ამჟამად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულება ითვლება ძალზედ ეფექტიანად (არა მხოლოდ სახელმწიფო მოხელეების, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების მიერ), ელექტრონული სერვისებისა და მკაცრად კონტროლირებული საგადასახადო დეკლარაციებისა და გადახდების სისტემების წყალობით. აღნიშნულის გარდა, არ მოიპოვება ანგარიშები ან სხვა სახის მტკიცებულება დღგ-ს ან ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა ტიპის გადასახადების თავიდან აცილების მნიშვნელოვანი რაოდენობით შემთხვევების თაობაზე, მათ შორის მერქანთან მიმართებაში.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 37, ნაწილი 1.6 - დღგ და გაყიდვებზე დაწესებული სხვა გადასახადები.

1.7 საშემოსავლო და მოგების გადასახადები

კონტექსტი: კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს საშემოსავლო და მოგების გადასახადებს რომელიც თავის მხრივ წარმოიქმნება ტყის პროდუქციის რეალიზაციისა და ხე-ტყის დამზადების ოპერაციების შედეგად. აღნიშნული კატეგორია ასევე ეხება შემოსავლებს მერქნის რეალიზების შედეგად და არ მოიცავს სხვა ტიპის გადასახადებს, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიების საქმიანობასთან, მათ შორის ხელფასებს.

დასკვნა: დაბალი რისკი

შესაბამისი კანონმდებლობა მოიცავს საგადასახადო კოდექსს. ამჟამად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულება ითვლება ძალზედ ეფექტიანად (არა მხოლოდ სახელმწიფო მოხელეების, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების მიერ), ელექტრონული სერვისებისა და მკაცრად კონტროლირებული საგადასახადო დეკლარაციებისა და გადახდების სისტემების წყალობით. არ მოიპოვება ცნობები (ნებისმიერი წყაროდან) რომლებიც მიუთითებდნენ საშემოსავლო ან მოგების გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მნიშვნელოვანი რაოდენობის შემთხვევებზე, მათ შორის მერქანთან მიმართებაში.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 40, ნაწილი 1.7 - საშემოსავლო და მოგების გადასახადები

1.8 მერქნის მოპოვების რეგულაციები

კონტექსტი: ნებისმიერი საკანონმდებლო მოთხოვნა, რომელიც შეეხება ხე-ტყის დამზადების ტექნიკასა და ტექნოლოგიებს, მათ შორის ამორჩევით ჭრებს, თანდათანობით ჭრებსა და ტყის განახლებას, პირწმინდა ჭრებს, მორების ტრანსპორტირებას დამზადების ადგილიდან, და სხვ. როგორც წესი, აღნიშნული მოთხოვნები არეგულირებს ჭრის ფართობს, ჭრაში დანიშნული ხეების მინიმალურ ხნოვანებას და დიამეტრს, და სხვ. აქ ასევე იგულისხმება მორსათრევი ბილიკების მოწყობა, გზების მშენებლობა, ხიდების აგება და ასევე ჭრების დაგეგმვა და მონიტორინგი.

დასკვნა: სპეციფიური რისკი

შესაბამისი კანონმდებლობა მოიცავს ტყისსარგებლობისა (2010) და ტყის მოვლა-აღდგენის (2010) წესებს. არსებობს მერქნის დამზადების რეგულაციების დარღვევის რისკი ტყის მართვისა და

კანონდღრულები კუთხით. კანონდღრულება სრული მოცულობით ვერ ხორციელდება; აგრეთვე არის მონიტორინგის ტექნიკური სახელმძღვანელო დოკუმენტების დეფიციტი.

ჰაპუნა კაპანაძის კომენტარი: „იქიდან გამომდინარე, რომ ხეტყის დამზადებას ახორციელებენ არაპროფესიონალები ხშირ შემთხვევაში მოსახლეობა, რათქმუნდა სპეციფიური რისკია. იმ შემთხვევაში თუ დამტკიცდება ახალი ტყის კოდექსი და მერქანს მხოლოდ სატყეო სააგენტო დამზადებს ვფიქრობ დაბალი რისკი შეიძლება მივანიჭოთ, მაგრამ დღევანდელი გარემოებიდან გამომდინარე სრულიად ვეთანხმები სპეციფიური რისკის მინიჭებას“.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 42, ნაწილი 1.8 - მერქნის მოპოვების რეგულაციები

1.9 დაცული ჰაბიტატები და სახეობები

კონტექსტი: საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონული ხელშეკრულებები, კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც დაკავშირებულია დაცულ ტერიტორიებთან, ტყისსარგებლობის ნებართვებთან, იშვიათი და გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარ სახეობებთან, მათ შორის ამ სახეობების არსებულ და პოტენციურ ჰაბიტატებთან.

რისკთან დაკავშირებული გარემოებები: რისკი დაკავშირებულია დაცული ტერიტორიების ფარგლებში წარმოებულ უკანონო მოპოვებასთან და დაცული სახეობების უკანონო მოპოვებასთან.

დასკვნა: სპეციფიური რისკი

შესაბამისი ძირითადი კანონმდებლობა მოიცავს კანონებს დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ (1996) და ცხოველთა სამყაროს შესახებ (1996). არსებობს კანონდღრულებისა და მონიტორინგის კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემები (შესაძლებლობებისა და პროფესიონალური გამოცდილების ნაკლებობა როგორც სამართალდამცავ ერთეულებში, ასევე პრაქტიკოს მეტყევეებში); ბიომრავალფეროვნების კუთხით ძვირფასი ტყის მნიშვნელოვანი ფართობები (მაგალითად ხელუხლებელი ტყეები) ჯერ კიდევ რჩება დაცული ტერიტორიების გარეთ; მერქნის დამზადების პროცესში არსებობს დარღვევები სახელმწიფო ტყის ფონდში (რომელიც არის სატყეო ადმინისტრაციის მართვის ქვეშ) არსებულ სახეობებთან/ ჰაბიტატებთან მიმართებაში. დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 47, ნაწილი 1.9 - დაცული ჰაბიტატები და სახეობები

1.10 გარემოსდაცვითი მოთხოვნები (ნიადაგის მდგომარეობა, ბიომრავალფეროვნება, პესტიციდების გამოყენება, მდინარეებისა და წყლის სხვა ობიექტების მდგომარეობა)

კონტექსტი: ეროვნული და რეგიონული კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები რომლებიც დაკავშირებულია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფასეულობების გამოვლენასა და დაცვასთან მათ შორის ხე-ტყის დამზადების გამო მიყენებული ზიანი, ნიადაგების დაზიანების დასაშვები დონეები, ბუფერული ზონების შექმნა, ხე-ტყის დამზადების სეზონური შეზღუდვა, სატყეო-სამეურნეო ტექნიკისა და მანქანების მიმართ გარემოსდაცვითი მოტხოვნები, პესტიციდებისა და სხვა ქიმიური საშუალებების გამოყენება, ბიომრავალფეროვნების დაცვა, წყლის ხარისხი, არასატყეო ინფრასტრუქტურის მშენებლობა წიაღისეულის მოპოვება და ა.შ. (ეს ნუსხა არ არის ამომწურავი).

რისკთან დაკავშირებული გარემოებები: რისკი დაკავშირებულია გარემოსდაცვითი საკანონმდებლო მოთხოვნების სისტემატურ და/ან ფართომასშტაბიან დარღვევებთან იმ დონეზე, რომელზეც საფრთხე ექმნება ტყის რესურსებს ან სხვა გარემოსდაცვით ფასეულობებს.

დასკვნა: სპეციფიური რისკი

შესაბამისი ძირითადი კანონმდებლობა მოიცავს საქართველოს კანონს გარემოს დაცვის შესახებ (1996). არის პრობლემები სახელმწიფო ტყის ფონდში (რომლებსაც მართავს სატყეო ადმინისტრაცია) მერქნის დამზადების პროცესში სახეობების დაცვისა და სხვა გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულების კუთხით.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 52, ნაწილი 1.10 – გარემოსდაცვითი მოთხოვნები

1.11 ჯანმრთელობა და უსაფრთხოება (შრომის უსაფრთხოება სატყეო სამუშაოებისა და შხამქიმიკატების გამოყენების დროს)

კონტექსტი: კანონის მოთხოვნებით გათვალისწინებული პერსონალური უსაფრთხოების აღჭურვილობა ხე-ტყის დამზადებაში ჩართული მუშებისათვის; ხეების წაქცევა და ტრანსპორტირება უსაფრთხო მეთოდებით, მანქანა-იარაღების გამოყენებისას უსაფრთხოების ნორმების დაცვა და კანონმდებლობის მოთხოვნები ქიმიკატების გამოყენების კუთხით უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან მიმართებაში. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნები ზოგადად ტყეში მუშაობასთან მიმართებაში (აღნიშნული არ მოიცავს საოფისე სამუშაოს ან სხვა ქმედებებს რაც არ არის დაკავშირებული უშუალოდ ტყეში განხორციელებულ სამუშაოებთან).

რისკთან დაკავშირებული გარემოებები: რისკი წარმოიქმნება იმ სიტუაციებში/ტერიტორიებზე სადაც ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რეგულაციები მუდმივად ირღვევა იმ დონეზე, რომ ხდება ტყეში მომუშავე პერსონალის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ დაყენება.

დასკვნა: სპეციფიური რისკი

შესაბამისი ძირითადი კანონმდებლობა მოიცავს საქართველოს შრომის კოდექსს (2010). ჯერ არ არის დამტკიცებული კონკრეტული ტექნიკური რეგულაციები მერქნის დამზადების ოპერაციებში მონაწილე პერსონალისათვის პირადი დამცავი საშუალებების, ჭრისა და ტრანსპორტირების უსაფრთხო პრაქტიკის გამოყენების, მერქნის დამზადების უბნების ირგვლივ დამცავი ზონების დაწესების შესახებ და უსაფრთხოების მოთხოვნები გამოყენებულ მანქანა-მექანიზმებთან, ასევე ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მოთხოვნები, რომლებიც დაცულ უნდა იქნას ტყეში განხორციელებული ოპერაციების დროს.

შრომის კოდექსით მინიჭებული უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უფლება სატყეო ოპერაციების დროს ძირითადად ირღვევა. მაგ. ტყეში მომუშავე ადამიანებს ხშირად არ გააჩნიათ უსაფრთხოების აღჭურვილობა, არ უტარდებათ უსაფრთხოების ღონისძიებების ინსტრუქტაჟი ხეების ჭრისას.

აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებაში მარინა კურტანიძემ წამოაყენა წინადადება, რომ ამ ინდიკატორისათვის შემუშავებულ კონტროლის ღონისძიებებს დამატოს მოთხოვნა, რომ იმ სატყეო უბანზე, საიდანაც იგეგმება კონტროლირებული მერქნის მიწოდება, მიმაგრებული იყოს შრომის ინსპექტორი. აღნიშნული ინსპექტორი აკრედიტებული უნდა იყოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ. შეხვედრის ყველა მონაწილე დაეთანხმა ამ მოსაზრებას.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 56, ნაწილი 1.11 – ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

1.12 დასაქმება კანონიერი გზით

კონტექსტი: საკანონმდებლო მოთხოვნები ხე-ტყის დამზადებაში ჩართული პერსონალისათვის, მათ შორის მოთხოვნები, რომ არსებობდეს: ხელშეკრულებები და მუშებისათვის სამუშაოს ნებართვები, სავალდებულო დაზღვევა, კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები; ასევე, გადახდილ უნდა იქნეს სოციალური და/ან სამემოსავლო გადასახადები დამსაქმებლის მიერ (მუშების ხელფასიდან დარიცხვის შემდგომ). ეს საკითხები მოიცავს მოთხოვნებს ზოგადად მინიმალურ სამუშაო ასაკთან და ასევე ხიფათის შემცველ

სამუშაოებთან დაკავშირებულ მინიმალურ ასაკთან მიმართებაში და იძულებითი შრომისა და ასოცირების თავისუფლების დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონმდებლობას.

რისკთან დაკავშირებული გარემოებები: რისკი დაკავშირებულია სიტუაციებთან/ტერიტორიებთან სადაც სისტემატურად ან ფართო მასშტაბით ხდება შრომისა და დასაქმების კანონმდებლობის მოთხოვნების უგულვებელყოფა. ყოველივე ეს მიზნად ისახავს, რომ გამოვლინდეს, თუ სად ხდება მუშა პერსონალის უფლებების სერიოზული დარღვევები, როგორებიცაა იძულებითი, არასრულწლოვნებისა და უკანონო შრომა.

დასკვნა: სპეციფიური რისკი

ძირითადი შესაბამისი კანონმდებლობა მოიცავს საქართველოს შრომის კოდექსს და პროფესიული კავშირების შესახებ კანონს (1997). არ მოიპოვება ცნობები „შრომისა და/ან დასაქმების მარეგულირებელი კანონების სისტემატური ან ფართოდ გავრცელებული დარღვევების თაობაზე“ (ამონარიდი FSC დოკუმენტიდან *FSC-PRO-60-002A VI-0 EN*, გვ. 19 (ინგლისურ ენაზე), დასაქმების პირობების, შესაძლო იძულებითი შრომის, კონტრაქტების პირობების დარღვევის ან გადასახადების გადახდიდან თავის არიდების თვალსაზრისით. თუმცა, სიტუაცია განსხვავებულია ასოცირების თავისუფლებისა და კოლექტიური მოლაპარაკების კუთხით. შრომის კოდექსის გარდა, აღნიშნული უფლებები რეგულირდება პროფესიული კავშირების შესახებ კანონით. კერძოდ, სახელმწიფო ატარებს ზედმეტად მკაცრ სამოქალაქო და სადამსჯელო სანქციებს იმ პერსონალისა და გაერთიანებების წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობენ არასანქცირებულ გაფიცვებში. ასევე, მთავრობა ხშირად ერევა პროფესიულ გაერთიანებათა საქმიანობაში. არის აგრეთვე პოტენციური პრობლემები ბავშვთა შრომის კუთხით. შრომის კოდექსი განსაზღვრავს დასაქმების მინიმალურ ასაკს (მათ შორის სატყეო სექტორში) – 16 წელს. ბავშვთა შრომა ფართოდ არის გავრცელებული სოფლის მეორეობაში საქართველოში. არ არსებობს ფაქტები, რომლებიც უშუალოდ დაადასტურებდნენ ბავშვთა შრომას სატყეო-სამეურნეო სამუშაოებში. თუმცა, მნიშვნელოვანია იმის აღბათობა, რომ არასრულწლოვანთა/ბავშვთა შრომას ადგილი ჰქონდეს სატყეო ოპერაციებშიც.

აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებაში მარინა კურტანიძემ დაამატა, რომ სატყეო ოპერაციების შესრულების დროს, არის შემთხვევები, როდესაც დროებით მუშებს არ აქვთ ხელშეკრულება (არც წერილობითი, არც ზეპირი). ასევე, მისი თქმით, ტყეში დასაქმებული მუშა პერსონალის ხელფასები არის ძალზე დაბალი, მათ შორის რეინჯერების ხელფასებიც (თვეში 480 ლარი ხელზე და ზოგჯერ უფრო დაბალიც). ამ მოსაზრებას დაეთანხმა შეხვედრის ყველა მონაწილე. როგორც საკონტროლო ღონისძიება, შემოთავაზებულ იქნა კონტრაქტების არსებობა ტყეში მომუშავე ყველა პირისათვის და მათთვის ხელფასების შეძლებისდაგვარად მომატება.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 59, ნაწილი 1.12 – დასაქმება კანონიერი გზით

1.13 ტრადიციული უფლებები

კონტექსტი: კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს ტყითსარგებლობასთან დაკავშირებულ ტრადიციულ უფლებებს, მათ შორის სარგებლის განაწილებისა და აბორიგენული მოსახლეობის უფლებების თაობაზე

დასკვნა: დაბალი რისკი

ძირითადი შესაბამისი კანონმდებლობა მოიცავს ტყის კოდექსს და ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესებსა და პირობებს. წარსულში იყო რამდენიმე ცნობა იმის თაობაზე, რომ ტყით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელები ადგილობრივ მოსახლეობას არ აძლევდნენ ტყეში შესვლის უფლებას. სალიცენზიო პირობებში მოსახლეობის უფლებების (მათ შორის ტყეში თავისუფლად გადაადგილებისა და პირადი მოხმარების მიზნით ტყის პროდუქტების მოპოვების თაობაზე) უფრო

გარკვევით ჩაწერის შემდგომ (2009 წელს), ამ უფლებების დარღვევის ფაქტები (მათ შორის ტყით სარგებლობის ლიცენზიების მფლობელების მიერ) აღარ დაფიქსირებულა.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 63, ნაწილი 1.13 – ტრადიციული უფლებები

1.14 თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა (ადგილობრივი მოსახლეობისა ტყითსარგებლობასთან მიმართებაში)

კონტექსტი: კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს „თავისუფალ, წინასწარ და ინფორმირებულ თანხმობას“ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ტყის მართვისა და ტრადიციული უფლებების გადაცემის თაობაზე ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციისათვის.

დასკვნა: დაბალი რისკი

შესაბამისი ძირითადი კანონმდებლობა მოიცავს ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესებს (2013). სახელმწიფო სატყეო სამსახურები ძირითადად იცავენ გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებს (სადაც ირიბად არის წარმოდგენილი თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის ელემენტები), რაც დაკავშირებულია ხე-ტყის დამამზადებისა და ზოგადად ტყით სარგებლობის დაგეგმვასთან. კერძოდ, ტყითსარგებლობის თითოეული გეგმა განიხილება საჯაროდ. ზოგიერთი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის აზრით, საზოგადოების მონაწილეობის დონე არასაკმარისია ამ პროცესებში და აღნიშნულ მოსაზრებას ასაბუთებენ საზოგადოების ჯერ კიდევ შედარებით დაბალი გარემოსდაცვითი ცნობიერებითა და იმ გარემოებით, რომ შეზღუდული დროის გამოყოფა ხდება ტყითსარგებლობის გეგმებზე კომენტარების გაკეთებისათვის მათი გასაჯაროების შემდგომ (15 კალენდარული დღე). თუმცა, წინა წლებში იყო რამდენიმე შემთხვევა (2009 წლიდან დღემდე), როდესაც გეგმების სამუშაო ვერსიები უკან უბრუნდებოდა ავტორებს რევიზირებისათვის საჯარო განხილვების შედეგად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზოგადად, თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის პრინციპი მუშაობს საქართველოში.

რეზო გეთიაშვილის მოსაზრებით, გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ) არის საუკეთესო მექანიზმი სატყეო საკითხების განხილვაში საზოგადოების სათანადო დონეზე (მაგ. ორჰუსის კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად) მონაწილეობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. სამწუხაროდ, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონი (2005) არ მოითხოვს გზშ-ს (ან ექვივალენტური დონის შეფასების) ჩატარებას ლიცენზიის მფლობელთა მიერ ხე-ტყის დამამზადების ოპერაციების ჩატარების წინ. შესაბამისად, საზოგადოების მონაწილეობა ამ სატყეო ოპერაციების დაგეგმვისას არ არის სათანადო.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონტროლირებული მერქნის რისკების შეფასების სახელმძღვანელო დოკუმენტებში (მაგ. რისკების ეროვნული შეფასების ჩარჩო დოკუმენტში FSC-PRO-60-002a) ნახსენებია, რომ რისკების შეფასებისას განიხილება არსებული კანონმდებლობის შესრულება, და არა თავად ამ კანონმდებლობის ხარისხი. შესაბამისად, კანონმდებლობის შესრულების კუთხით, დაბალი რისკის კატეგორია შესაძლოა დარჩეს უცვლელი ამ ინდიკატორისათვის. დამატებითი დეტალები (მათ შორის საკანონმდებლო ასპექტები) მოცემულია რისკების ეროვნული შეფასების სრულ ვერსიაში.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 65, ნაწილი 1.14 – თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა

1.15 აბორიგენული/ტრადიციული მოსახლეობის უფლებები

კონტექსტი: კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს აბორიგენული მოსახლეობის უფლებებს სატყეო საქმიანობასთან დაკავშირებით.

დასკვნა: დაბალი რისკი (აბორიგენული მოსახლეობა არ ცხოვრობს საქართველოში; იხილეთ ასევე ინდიკატორ 2.3-ის შეფასება ქვემოთ).

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 69, ნაწილი 1.15 – აბორიგენული/ტრადიციული მოსახლეობის უფლებები

1.16 სახეობრივი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი კლასიფიკაცია

კონტექსტი: კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს იმას, თუ როგორ ხდება დამზადებული ხე-ტყის კლასიფიკაცია სახეობების, მოცულობებისა და ხარისხის მიხედვით ვაჭრობასა და ტრანსპორტირებასთან მიმართებაში. დამზადებული მასალის არასწორი კლასიფიცირება კარგად ცნობილი მეთოდია კანონით გათვალისწინებული გადასახადებისა და მოსაკრებლების შემცირებისა და თავის არიდების მიზნით.

რისკთან დაკავშირებული გარემოებები: რისკი დაკავშირებულია უკანონო, ყალბი ჩანაწერების გამოყენებასთან დამზადებული მასალის რეალიზებისას სახეობების, მოცულობებისა და ხარისხის კუთხით. ამას ძირითადად ადგილი აქვს მაღალი დონის კორუფციის მქონე ქვეყნებში.

დასკვნა: დაბალი რისკი

ძირითადი შესაბამისი კანონმდებლობა მოიცავს ტყის კოდექსს და კანონს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ. ტექნიკური სტანდარტები და პროცედურები რომლებიც გამოიყენება გაზომვისა და გამოთვლებისათვის სატყეო დაგეგმვის, მონიტორინგისა და კანონდარღვლების სფეროში არ არის კანონით სავალდებულო და ეფუძნება საბჭოთა პერიოდის წესებსა და სტანდარტებს (რომლებიც ოდნავ იქნა სახეცვლილი). ამ არასავალდებულო წესებისა და სტანდარტების საფუძველზე, თითქმის ყოველთვის ხდება მერქნის ტრანსპორტირება და ვაჭრობა ყველა საჭირო თანხლები დოკუმენტაციით მათ შორის სახეობების, მოცულობების, ხარისხის შესახებ და ა.შ. არსებობს შესაძლებლობებისა და ტექნიკური ცოდნის ნაკლებობა ამ სფეროში, რაც ურთულესს საქმეს როგორც სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს, ასევე სატყეო ოპერატორებს, ხე-ტყის პროდუქციის გაზომვებისა და კალკულაციების კუთხით შესაბამისი ტექნიკური წესებისა და სტანდარტების მოთხოვნების შესრულების მხრივ. თუმცა, რადგან შესაბამისი მოთხოვნები არ არის სავალდებულო, კანონდარღვევის რისკი ითვლება, როგორც დაბალი.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 69, ნაწილი 1.16 – სახეობრივი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი კლასიფიკაცია

1.17 ვაჭრობა და ტრანსპორტირება

კონტექსტი: უნდა არსებობდეს ვაჭრობასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ნებართვები, მათ შორის სატრანსპორტო ზედნადები, რომლებიც თან ახლავს ხე-ტყის დამზადების შედეგად მიღებულ მერქანს ტრანსპორტირების დროს

რისკთან დაკავშირებული გარემოებები: რისკი დაკავშირებულია სიტუაციებთან, როდესაც ხდება ოფიციალურად მოთხოვნილი დოკუმენტაციის, როგორცაა ხე-ტყის დამზადების ნებართვა, სატრანსპორტო ზედნადები და მარკირების ფირნიში, ფალსიფიცირება. ეს რისკი განსაკუთრებით მაღალია ქვეყნებში, სადაც არის კორუფციის მნიშვნელოვანი დონე.

დასკვნა: დაბალი რისკი

შესაბამისი ძირითადი კანონმდებლობა მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკურ რეგლამენტს (2014). ტრანსპორტირებასა და ვაჭრობასთან დაკავშირებული მოთხოვნების აღსრულების ადმინისტრირება მკაცრად ხორციელდება კანონდარღვლების ორგანოების მიერ, მათ შორის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, ეროვნული სატყეო სააგენტოსა და

აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ (ტრანსპორტირება) და ასევე შემოსავლების სამსახურის მიერ (ვაჭრობა).

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 73, ნაწილი 1.17 – ვაჭრობა და ტრანსპორტირება

1.18 ოფშორული ვაჭრობა და გადარიცხვები

კონტექსტი: კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ოფშორულ ვაჭრობას. ოფშორული ვაჭრობა დაკავშირებულ „მონათესავე“ კომპანიებთან, რომლებიც მდებარეობს გადასახადებიდან თავისუფალ ზონებში, კომბინირებული გადარიცხვების ხელოვნურ ფასებთან, არის კარგად ცნობილი გზა კანონით გათვალისწინებული გადასახადებისა და მოსაკრებლების (რომლებიც დაწესებულია ქვეყანაში, სადაც ხდება ხე-ტყის დამზადება) თავიდან აცილებისა. ბევრ ქვეყანაში მოქმედებს კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ოფშორულ ვაჭრობასა და შესაბამის გადარიცხვებს. ამ ინდიკატორის შესაბამისად ოფშორული ვაჭრობა და ტრანზაქციები განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აკრძალულია მოცემულ ქვეყანაში.

რისკთან დაკავშირებული გარემოებები: რისკი შეესაბამება სიტუაციებს როდესაც პროდუქციის რეალიზება ხდება ქვეყნის გარეთ იმ ფასებში, რომლებიც არის მნიშვნელოვნად დაბალი საბაზრო ფასებთან შედარებით და შემდგომ უკვე იყიდება საბაზრო ფასებში მიწოდების ჯაჭვის უფრო მაღალ რგოლში. აღნიშნული გარემოება ხშირად მიუთითებს გადასახადებისაგან თავის არიდებას.

დასკვნა: დაბალი რისკი

ძირითადი შესაბამისი კანონმდებლობა მოიცავს საგადასახადო კოდექსს და საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შესახებ ინსტრუქციას (2013). ტრანსფერების დროს ფასწარმოქმნა (transfer pricing) რეგულირდება შესაბამისი კონტროლისა და ზოგადად საგადასახადო აუდიტების მეშვეობით. საქართველოში არ აღრიცხულა transfer pricing-ის შემტხვევა მერქნით ვაჭრობასთან მიმართებაში. უფრო მეტიც, მერქნით ვაჭრობის საერთო ფინანსური ღირებულება დაბალია.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 78, ნაწილი 1.18 – ოფშორული ვაჭრობა და გადარიცხვები

1.19 საბაჟო რეგულაციები

კონტექსტი: საბაჟო რეგულაციები, რომლებიც მოიცავენ ისეთ სფეროებს, როგორცაა ექსპორტ/იმპორტის ლიცენზიები და პროდუქციის კლასიფიკაციას (კოდები, რაოდენობა, ხარისხი და სახეობები).

დასკვნა: დაბალი რისკი

შესაბამისი ძირითადი კანონმდებლობა მოიცავს საგადასახადო კოდექსს და ინსტრუქციას და ინსტრუქციას საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ (2012). არ აღრიცხება ფაქტები რომლებიც ავლენენ არსებული საბაჟო რეგულაციების მოთხოვნების დარღვევას მერქნისა და მერქნის პროდუქციის ექსპორტის კუთხით. როგორც ირაკლი მაჭარაშვილმა აღნიშნა, საბაჟოზე მერქანი იზომება წონით (ტონებში), მაშინ როდესაც მერქნის წარმოშობის დოკუმენტში იგივე მერქნის რაოდენობა ასახულია მოცულობითი ერთეულით (მ3). აღნიშნული გარემოება იწვევს სერიოზულ შეუსაბამობას და მერქნის კანონიერების გადამოწმებას პრობლემატურს ხდის. ასევე, როგორც წესი, მეზაჟეებს არ გააჩნიათ სათანადო ცოდნა, რომ მოახდინონ დამხადებული ხე-ტყის სახეობების გარჩევა.

თუმცა, არსებული საბაჟო რეგულაციების მიხედვით (ინსტრუქცია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ (2012 წ.) მებაჟეები არ არიან ვალდებული, რომ მერქანი გაზომონ მ3-ში. ასევე, არ მოიპოვება ინფორმაცია არსებული საბაჟო რეგულაციების დარღვევის მნიშვნელოვანი რაოდენობების თაობაზე. შესაბამისად, რადგან არსებული საკანონმდებლო მოთხოვნები სრულდება (მათი ხარისხის მიუხედავად), ამ ინდიკატორისათვის მინიჭებული დაბალი რისკის კატეგორია შესაძლოა დარჩეს უცვლელი.

პაპუნა კაპანაძის კომენტარი: „მრგვალი ხე-ტყის პირველადი გადამუშავების პროდუქტის შემთხვევაში ივსება ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები, რომელშიც იწერება პროდუქტის წარმოშობის, შექმნის ან იმპორტის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება (თარიღი და ნომერი). ზედნადების შევსების დროს ასევე აისახება საქონლის ზომის ერთეული და საქონლის რაოდენობა, აგრეთვე მორის სპეციალური ფირნიშის ნომერი, რომლითაც ფიცარი არის დამზადებული. (ამ ყველაფერს ადგენს ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანება). საბაჟოზე ადრე ამოწმებდნენ ყველას ტვირთსა და სასაქონლო ზედნადებს, შემდგომ შეექმნათ პრობლემები სახეობის გარჩევისა და მოცულობის დადგენის მიმართულებით, ძალიან შრომატევადი იყო, შესაბამისი ცოდნაც არ ჰქონდათ და ძალიან დიდი დროც მიჰქონდა პროცედურას. ახლა მხოლოდ ზედნადებს ამოწმებენ, მაგრამ მათ აქვთ სპეციალური რისკების პროგრამა სადაც სჩანს ადრე დაჯარიმებული პირები, ხოდა ახლა თუკი რისკების პროგრამაში ამოვარდება პირი რომელიც ადრე იყო დაჯარიმებული მაგ შემთხვევაში ტვირთსაც ამოწმებენ. ხოლო რაც შეეხება წონით ანგარიშგებას არის სპეციალური ცხრილი მშრალ პროდუქტზე და ტენიანზე, მოცულობიდან წონაში გადასაყვანი ან პირიქით. ვფიქრობ დაბალი რისკია იქიდან გამომდინარე რომ ზედამხედველობაც ამოწმებს ხშირ შემთხვევაში ტრანსპორტირების დროს, ასევე ფინანსური პოლიციაც. დარღვევებზე საკმაოდ დიდი ჯარიმებია. აქედან გამომდინარე ნაკლებია იმის რისკი, რომ რაიმე თაღლითურ სქემას ჰქონდეს ადგილი“.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 82, ნაწილი 1.19 – საბაჟო რეგულაციები

1.20 CITES

კონტექსტი: CITES (კონვენცია გადამყვანების საფრთხის ქვეშ მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ) ნებართვები

გაითვალისწინეთ, რომ ეს ინდიკატორი შეეხება კანონმდებლობას, რომელიც არსებობს შეფასების ტერიტორიაზე (და არა სხვა ტერიტორიაზე, მაგალითად საიდანაც ხდება CITES სახეობების იმპორტი).

დასკვნა: დაბალი რისკი (საქართველოში არ არის მერქნიანი სახეობები რომლებიც შესულნი არიან CITES-ის ჩამონათვალში).

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 85, ნაწილი 1.20 – CITES

1.21 კანონმდებლობა, რომელიც მოითხოვს სათანადო სიფრთხილისა და გადამოწმების პროცედურებს (due diligence / due care) (ევროკავშირში მერქნის ექსპორტისას, რათა გამოირიცხოს უკანონო მერქანი)
კონტექსტი: კანონმდებლობა სათანადო სიფრთხილისა და გადამოწმების პრინციპების დანერგვის მოთხოვნით.

არ შეესაბამება საქართველოს პირობებს და, შესაბამისად, არ განიხილება

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 87, ნაწილი 1.21 – სათანადო სიფრთხილისა და გადამოწმების პროცედურები

რისკების კატეგორია 1: კონტროლის ღონისძიებების ჩამონათვალი სპეციფიკური რისკის ინდიკატორებისათვის 1.4, 1.8, 1.9, 1.10, 1.11, 1.12 - იხილეთ GEO-FSC-NRA-GE, გვ. 88-89.

რისკების კატეგორია 2: ტრადიციული და ადამიანის უფლებების დარღვევა

2.1. სატყეო სექტორი არ არის დაკავშირებული ძალადობრივ შეიარაღებულ კონფლიქტთან, მათ შორის ისეთთან, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ ან რეგიონალ უშიშროებას და/ან უკავშირდება სამხედრო კონტროლს.

***კონტექსტი:** ვრცელდება თუ არა ქვეყანაზე გაეროს უშიშროების საბჭოს აკრძალვა ხე-ტყის ექსპორტზე? ვრცელდება თუ არა ქვეყანაზე ნებისმიერი სხვა საერთაშორისო აკრძალვა ხე-ტყის ექსპორტზე? არიან თუ არა ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებზეც ვრცელდება გაეროს სანქციები, ჩართულნი საქართველოს სატყეო სექტორში? არის თუ არა შეფასების ტერიტორია კონფლიქტური მერქნის წყარო? (მერქანი, რომელიც დამზადებულია კონფლიქტის ზონაში)*

დასკვნა: დაბალი რისკი

არ არსებობს გაეროს უშიშროების საბჭოს აკრძალვა საქართველოდან ხე-ტყის ექსპორტზე. ასევე, საქართველო არ ფიგურირებს ნებისმიერ სხვა საერთაშორისო აკრძალვაში ხე-ტყის ექსპორტთან მიმართებაში. საქართველოს სატყეო სექტორში არ არიან ჩართულნი ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებზეც ვრცელდება გაეროს სანქციები. საქართველო არ არის კონფლიქტური მერქნის წყარო.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 98, ნაწილი 2.1 – მერქანი კონფლიქტის ზონებიდან

2.2. სამუშაოზე ხდება შრომის უფლებების გათვალისწინება, მათ შორის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ფუნდამენტურ პრინციპებსა და უფლებებში მითითებული უფლებებისა.

***კონტექსტი:** მოიცავს თუ არა კანონმდებლობა სოციალურ უფლებებს და ხდება თუ არა ამ უფლებების რეალიზება შესაბამის ქვეყანაში/ტერიტორიაზე? არის თუ არა დაცული ისეთი უფლებები, როგორცაა ასოცირების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკება? არის თუ არა იძულებითი შრომის არსებობის ფაქტები? არის თუ არა დისკრიმინაციის ფაქტები? არის თუ არა ბავშვთა შრომის ფაქტები? აქვს თუ არა ქვეყანას ხელმოწერილი ILO-ს შესაბამისი კონვენციები და დაცულია თუ არა ILO-ს მიერ გათვალისწინებული ფუნდამენტალური უფლებები და პრინციპები სამუშაო ადგილებზე? არის ფაქტები, რომ ნებისმიერი ჯგუფის, მათ შორის ქალთა, ზემოაღნიშნული უფლებები ადეკვატურად არის დაცული? აღინიშნება თუ არა შრომის უფლებების დარღვევის ფაქტები მხოლოდ გარკვეულ, სპეციფიკურ სფეროებში?*

დასკვნა: სპეციფიკური რისკი სამუშაოს პირობებთან მიმართებაში და დაბალი რისკი იძულებით შრომასთან მიმართებაში

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 101, ნაწილი 2.2 – შრომასთან დაკავშირებული უფლებები

შენიშვნა: ამ ინდიკატორთან მიმართებაში კონტროლის ღონისძიებები მოცემულია GEO-FSC-NRA-GE დოკუმენტის 91-ე გვერდზე.

2.3. აბორიგენული და ტრადიციული მოსახლეობის უფლებები დაცულია.

კონტექსტი: არის აბორიგენული და/ან ტრადიციული მოსახლეობის უფლებები დაცული შეფასების ტერიტორიაზე? ხდება თუ არა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენცია 169-ისა და გაეროს აბორიგენული მოსახლეობის უფლებების დეკლარაციის (UNDRIP) მოთხოვნების შესრულება შეფასების ტერიტორიაზე? არის თუ არა ფაქტები აბორიგენული ან ტრადიციული მოსახლეობის კანონიერი და ტრადიციული უფლებების შელახვის? და სხვ.

დასკვნა: დაბალი რისკი (საქართველოში არ ცხოვრობს აბორიგენული და ტრადიციული მოსახლეობა).

ანზორ გოგოთიძისა და შეხვედრის სხვა მონაწილეების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ ცხოვრობს აბორიგენული ან ტრადიციული მოსახლეობა როგორც ასეთი, არიან თემები (მაღალმთიან რეგიონებში), რომელთაც აქვთ სურვილი, რომ განახორციელონ ტყითსარგებლობის ტრადიციული პრაქტიკა. როგორც წესი, ასეთი პრაქტიკა ეკოლოგიურად მდგრადია და არ იწვევს ტყეების დაზიანებას (მაგ. მხოლოდ ცალკეული ტოტების მოცილება/გადაბეღვა, და არა მთლიანი ხის ან ბუჩქის მოჭრა). რადგან ამჟამინდელი კანონმდებლობა არ აღიარებს მსგავს პრაქტიკას, იგი შეიძლება დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცეს. შესაბამისად, მონაწილეთა აზრით, ამ ინდიკატორს უნდა მიენიჭოს სპეციფიური რისკის კატეგორია. შესაძლო საკონტროლო ღონისძიების თაობაზე მოსაზრება არ იქნა გამოთქმული.

პაპუნა კაპანაძის კომენტარი: „ბოლო ერთი საუკუნის მანძილზე საქართველოში ტყესთან დაკავშირებული ღონისძიებები ხორციელდებოდა, მხოლოდ მეტყევე სპეციალისტების მიერ, არ არსებობდა ტრადიციული ტყითსარგებლობა, მაღიან დიდი სურვილი მაქვს დეტალურად გავცნო მაღალმთიანი რეგიონის თემები რას გულისხმობენ ან რა პრაქტიკული გამოცდილება აქვთ ტრადიციულ ტყითსარგებლობასთან დაკავშირებით“.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 126, ნაწილი 2.3 – აბორიგენული და ტრადიციული მოსახლეობის უფლებები.

რისკების კატეგორია 3: ტყეების მაღალი კონსერვაციული ღირებულებების მიმართ საფრთხის შექმნა

3.0 მონაცემების ხელმისაწვდომობა მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეებისადმი (კატეგორია 3) რისკების შეფასების მიზნით

კონტექსტი: არის საკმარისად ხელმისაწვდომი მონაცემები მაღალი კონსერვაციული ღირებულებების (High Conservation Values, HCV) არსებობისა და გავრცელების გამოსავლენად შეფასების მოცემულ ტერიტორიაზე, ამ დოკუმენტის მოთხოვნების მიხედვით? არის საკმარისი მოცულობით ხელმისაწვდომი მონაცემები HCV-ების მიმართ ტყის მართვის მხრიდან მომდინარე საფრთხეების შესაფასებლად, ამ დოკუმენტის მოთხოვნების მიხედვით?

დასკვნა: დაბალი რისკი, რადგანაც საქართველოში ხელმისაწვდომია საკმარისი ინფორმაცია ტყის მაღალი კონსერვაციული ღირებულებებისადმი რისკების შეფასებისათვის

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 132, ნაწილი 3.0 – ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ტყის მაღალი კონსერვაციული ღირებულებებისადმი რისკების შეფასებისათვის

3.1 HCV1: ტყეები ბიომრავალფეროვნების ელემენტების მაღალი კონცენტრაციით

კონტექსტი: მოიცავს შეფასების ტერიტორია HCV 1-ს? არის HCV 1 საფრთხის ქვეშ ტყის მართვისა და ტყითსარგებლობის შედეგად?

დასკვნა: დაბალი რისკი დაცულ ტერიტორიებში მოქცეულ ტყეებთან მიმართებაში და სპეციფიური რისკი დანარჩენ ტყეებში (უკანონო ჭრა, ბრაკონიერობა, უსისტემო მოვება და ტყის არამდგრადი მართვა)

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 136, ნაწილი 3.1 – მაღალი კონსერვაციული ღირებულება (HCV) 1

3.2 HCV2: დიდ ფართობებზე განლაგებული ტყის ბუნებრივი (უწყვეტი) ლანდშაფტები და ეკოსისტემების მოზაიკები

კონტექსტი: მოიცავს შეფასების ტერიტორია HCV 2-ს? არის HCV 2 საფრთხის ქვეშ ტყის მართვისა და ტყითსარგებლობის შედეგად?

დასკვნა: დაბალი რისკი დაცულ ტერიტორიებში მოქცეულ ტყეებთან მიმართებაში და სპეციფიური რისკი დანარჩენ ტყეებში (უკანონო ჭრა, უსისტემო მოვება და ტყის არამდგრადი მართვა)

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 141, ნაწილი 3.2 – HCV 2

3.3 HCV3: ტყეები, რომლებიც იშვიათ ან საფრთხის წინაშე მყოფ ეკოსისტემებს მოიცავს

კონტექსტი: მოიცავს შეფასების ტერიტორია HCV 3-ს? არის HCV 3 საფრთხის ქვეშ ტყის მართვისა და ტყითსარგებლობის შედეგად?

დასკვნა: დაბალი რისკი დაცულ ტერიტორიებში მოქცეულ ტყეებთან მიმართებაში და სპეციფიური რისკი დანარჩენ ტყეებში (უკანონო ჭრა, ბრაკონიერობა, უსისტემო მოვება და ტყის არამდგრადი მართვა)

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 144, ნაწილი 3.3 – HCV 3

3.4 HCV4: დაცვითი ტყეები (წყალშემკრები აუზები, ნიადაგის დაცვა, წყლის რეგულირება და ა.შ.)

კონტექსტი: მოიცავს შეფასების ტერიტორია HCV 4-ს? არის HCV 4 საფრთხის ქვეშ ტყის მართვისა და ტყითსარგებლობის შედეგად?

დასკვნა: დაბალი რისკი დაცულ ტერიტორიებში მოქცეულ ტყეებთან მიმართებაში და სპეციფიური რისკი დანარჩენ ტყეებში (უკანონო ჭრა, უსისტემო მოვება და ტყის არამდგრადი მართვა)

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 147, ნაწილი 3.4 – HCV 4

3.5. HCV5: ტყეები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი საარსებო წყაროა

კონტექსტი: მოიცავს შეფასების ტერიტორია HCV 5-ს? არის HCV 5 საფრთხის ქვეშ ტყის მართვისა და ტყითსარგებლობის შედეგად?

დასკვნა: დაბალი რისკი დაცულ ტერიტორიებში მოქცეულ ტყეებთან მიმართებაში და სპეციფიური რისკი დანარჩენ ტყეებში (უკანონო ჭრა, ტყის არამერქნითი რესურსების ჭარბი მოცულობებით დამზადება, უსისტემო მოვება და ტყის არამდგრადი მართვა)

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 151, *ნაწილი 3.5 – HCV 5*.

3.6. HCV6: ტყის მონაკვეთები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით არის აუცილებელი და რომლებსაც აქვთ რელიგიური, კულტურული, ეკოლოგიური ან ეკონომიკური მნიშვნელობა)

კონტექსტი: მოიცავს შეფასების ტერიტორია HCV 6-ს? არის HCV 6 საფრთხის ქვეშ ტყის მართვისა და ტყითსარგებლობის შედეგად?

დასკვნა: დაბალი რისკი დაცულ ტერიტორიებში და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი მიჩენით გადაცემულ ტყეებში; სპეციფიური რისკი დანარჩენ ტყეებში (უკანონო ჭრა, ბრაკონიერობა, უსისტემო მოვება და ტყის არამდგრადი მართვა).

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 154, *ნაწილი 3.6 – HCV 6*

შენიშვნა: ამ კატეგორიისათვის კონტროლის ღონისძიებები აღწერილია დოკუმენტ GEO-FSC-NRA-GE-ში, გვ. 158-163.

რაც შეეხება ტყეებს მაღალი კონსერვაციული ღირებულებებით (HCVs), რომლებიც შეადგენს რისკების შეფასების მესამე კატეგორიას, შეხვედრის ყველა მონაწილე დაეთანხმა შესაბამისი ინდიკატორებისათვის მინიჭებულ რისკების ყველა კატეგორიას. გიორგი ქავთარაძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყველა HCV კატეგორია და ქვე-კატეგორია კარგად არის დაზუსტებული საქართველოსთვის ეროვნულ დონეზე, ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა ზოგიერთი მათგანის საზღვრების დაზუსტება ადგილებზე. აღნიშნულის პასუხად ილია ოსეფაშვილმა ახსენა, რომ WWF კავკასია ამჟამად ახორციელებს აქტივობას ტყეების მაღალი კონსერვაციული ღირებულებების დასაზუსტებლად და ყველა მათგანის რუკებზე დასატანად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ამ ქმედების შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საქართველოს სხვა რეგიონებშიც. ეს შედეგები დაეხმარება იმ სატყეო უბნებს, რომლებსაც ექნებათ სურვილი, რომ აწარმოონ კონტროლირებული მერქანი, გამოავლინონ და რუკაზე დაიტანონ მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეები მათ სამოქმედო ტერიტორიაზე. ირაკლი მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ ხელუხლებელი ტყეებისა და ტყის ხელუხლებელი ლანდშაფტების ტერიტორიები დიდწილად ემთხვევა ერთმანეთს. აღნიშნულის გამო, შესაბამისი მაღალი კონსერვაციული ღირებულებების დახასიათებისას არ უნდა მოხდეს ამ ფართობების ორმაგად დათვლა.

კატეგორია 4: ბუნებრივი ტყეების (განადგურების შედეგად) პლანტაციებში ან მიწის სხვა კატეგორიაში გადაყვანა

4.1 ბუნებრივი ტყეების პლანტაციებში ან მიწათსარგებლობის სხვა (არასატყეო) კატეგორიაში გადაყვანის შედეგად ამ ტყეების შემცირების საშუალო წლიური მაჩვენებელი შეფასების კონკრეტულ ტერიტორიაზე 0,02%-ზე უფრო მცირეა ან 5000 ჰექტარზე ნაკლები (ამ ორიდან აღებულ უნდა იქნეს უფრო მცირე ზღვრული მაჩვენებელი) ბოლო 5 წლის განმავლობაში ან

ბუნებრივი ტყის ფართობების შემცირება უკანონოა ეროვნულ ან რეგიონულ დონეზე საჯარო ან კერძო მიწებზე

***კონტექსტი:** აქვს ადგილი ტყის ბუნებრივი ფართობების შემცირებას შეფასების ტერიტორიაზე, როგორც განსაზღვრულია ამ ინდიკატორით?*

დასკვნა: დაბალი რისკი

ტყის ბუნებრივი საფარის გადაყვანა მიწათსარგებლობის სხვა კატეგორიებში (განადგურების შედეგად) ინდიკატორ 4.1-ში მითითებულ ზღვრულ მაჩვენებლებზე უფრო მცირე მასშტაბით მიმდინარეობს.

ირაკლი მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ ამ ინდიკატორს უნდა მიენიჭოს სპეციფიური რისკის კატეგორია, რადგან ბოლო წლებში გაიზარდა წიაღის მოპოვების, ჰესებისა და ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისა და სხვა შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მასშტაბები. შესაბამისი დოკუმენტების წარდგენა მოხდა ოდნავ მოგვიანებით ირაკლი მაჭარაშვილის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი ციფრები არ არსებობს, აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად ყოველწლიურად იკარგება ასობით ჰექტარი ბუნებრივი ტყის ფართობები, რამაც შესაძლოა გადააჭარბოს NRA-ს ფარგლებში დადგენილი დაბალი რისკის ზღვარს (ბუნებრივი ტყეების მთლიანი ფართობის 0.02%, ანუ დაახლოებით 550 ჰა წელიწადში საქართველოს შემთხვევაში). შესაბამისად, შეხვედრის მონაწილეების აზრით ამ ინდიკატორს უნდა მიენიჭოს სპეციფიური რისკის კატეგორია.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 167, *ნაწილი 4.1 – ბუნებრივი ტყეების განადგურება და მიწის სხვა კატეგორიაში გადაყვანა*

კატეგორია 5: ტყეში გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეების გამოყვანა და ამ ხეებიდან დამზადებული მერქნით კომერციულად სარგებლობა.

5.1 ტყეში გამოყვანილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეების კომერციული გამოყენება

***კონტექსტი:** საქართველოში არ გამოიყენება გენმოდიფიცირებული ხეები კომერციული მიზნით.*

დასკვნა: დაბალი რისკი (გენმოდიფიცირებული ხეები არ გამოიყენება საქართველოში).

ამ ინდიკატორთან მიმართებაში, თეიმურაზ კანდელაკი დაეთანხმა დაბალი რისკის კატეგორიას (რასაც დაეთანხმა ასევე ყველა სხვა მონაწილე). თუმცა, თეიმურაზ კანდელაკმა აქვე აღნიშნა, რომ მომავალში, რისკი შესაძლოა გახდეს მნიშვნელოვანი (სპეციფიური), თუ ქვეყანაში გახდება ნებადართული პლანტაციების გაშენება გენმოდიფიცირებული ხეების კომერციული მიზნით გამოსაყვანად. კერძოდ, აღნიშნული ხეები პლანტაციებიდან შესაძლოა გავრცელდეს გაცილებით უფრო ფართო ტერიტორიაზე. ამჟამად, გენმოდიფიცირებული ორგანიზმების (მათ შორის ხეების) კომერციული მიზნით გამოყენება აკრძალულია კანონმდებლობით (კანონი ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ, 2014) და იმის ალბათობა, რომ აღნიშნული აკრძალვა გაუქმდება ახლო მომავალში, პრაქტიკულად უმნიშვნელოა.

დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებისათვის იხილეთ: GEO-FSC-NRA-GE, გვ. 175, *ნაწილი 5.1 – გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეები*

კომენტარების წარმომდგენი პირები:

ნათია იორდანიშვილი, თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტო; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

ირაკლი მაჭარაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“; კონტროლირებული მერქნის რისკების ეროვნული შეფასების სამუშაო ჯგუფის წევრი, ეკოლოგიური მიმართულება.

პაპუნა კაპანაძე, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

თეიმურაზ კანდელაკი, პროფესორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

გიორგი ქავთარაძე, PhD, მოქმედი დირექტორი, ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

რეზო გეთიაშვილი, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)

მარინა კურტანიძე, თავმჯდომარე, საქართველოს მშენებელთა და ტყის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი

ანზორ გოგოთიძე, თუშეთის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია